

FSSO W 7452

საზოგადოებრივი დედის ქუჩაში, არ გაიცვლება სხვაგვარად...



1991

საზოგადოებრივი

1

ი ა ნ ვ ა რ ი

№1 (10394)

ფანი 5 კაპ.

# კაკი

გაზეთი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

ზუგდიდის საზოგადოებრივი პოლიტიკური გაზეთი

## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი

### საბჭოს სესია

27 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის მორიგი სხდომა, რომელიც გახსნა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონმა ზვიად გამსახურდიამ.

დეპუტატებმა პატივი მიაგეს სავეტომობილო კატასტროფაში დაღუპული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატის ბუხულა ჯაფარიძის სოვენას. შემდეგ სესია შეუდგა დღის წესრიგში შეტანილი საკითხების განხილვას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს კანონმდებლობისა და კანონიერების დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ნუგზარ მოლოდინაშვილმა დამსწრეთ გააცნო ამისტიის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებათა შეტანის თაობაზე კანონის პროექტი, რომელიც მიიღეს.

1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ ომარ ვარძელაშვილმა.

ამ საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ავთანდილ ამინაძე, ნოდარ ნათაძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი, გურამ ქაშაიაშვილი და სხვები.

მოხსენება საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრმა გურამ აბსანაძემ.

ამ საკითხის გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ დეპუტატები მია მჭავარიაძე, გურამ პეტრიაშვილი, ანზორ საკანდელიძე, ლოვარდ ტუხაშვილი, რამაზ სურგულაძე და სხვები.

დასკვნა ამ საკითხზე გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ტარიელ გელანტიამ, რის შემდეგაც გაჩაღდა საქმოდ ცხარე აზრთა გაზიარება, რომელშიც მონაწილეობდნენ დეპუტატები ბაკურ გულუა, რომან გოცირიძე, გივი თაქაიშვილი, გელა ჩორგოლაშვილი, ნოდარ ნათაძე, ირინე ტალიაშვილი, პაატა კოლაშვილი, მინდია სალუქვაძე, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე

ომარ ვარძელაშვილი, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე თენგიზ სიგუა და სხვები.

სესიამ მიიღო დადგენილება 1991 წლისათვის საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროგნოზის შესახებ. იღებენ კანონს საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, დადგენილებას რესპუბლიკის 1989 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის საკითხი, რომლის გამო კანონის პროექტი წარმოადგინა დეპუტატმა დავით კუპრიაშვილმა. კამათში გამოვიდნენ დეპუტატები თემურაზ ქორიძე, დავით ბერძენიშვილი, თედო პაატაშვილი, შააა კახიანი, ლევან აღმაქსიძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკოლოზ საყვარელიძე, თედო ხინიძე, ნუგზარ მოლოდინაშვილი და სხვები.

სესიამ მიიღო საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის სტატუსის კანონი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მუდმივი კომისიების დროებითი დებულების საკითხზე გამოვიდა დეპუტატი გიორგი გულბაია.

უზენაესმა საბჭომ მიიღო შესაბამისი კანონი.

რეფერენდუმის კანონის თაობაზე გამოვიდა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი ჯოსი ხეცურიაძე.

სესიამ მიიღო დადგენილება რეფერენდუმის კანონპროექტის პუბლიკაციის თაობაზე მისი საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის.

დეპუტატებმა განიხილეს საქართველოს რესპუბლიკაში მოსამართლის სტატუსის საკითხი და მიიღეს დადგენილება შესაბამისი კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე. მიღებულია საქართველოს რესპუბლიკაში სასამართლო წყობილების კანონი.

სესიამ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარედ აირჩია დეპუტატი მინდია უგრეხელიძე, მის პირველ მოადგილედ—დეპუტატი ვაჟა აბაკელია.

საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორად უზენაესმა საბჭომ დანიშნა ვახტანგ რაზმაძე.

28 დეკემბერს სესია მუშაობას განაგრძობდა.

სს „საქართველო“



### ინფორმაცია პოლიგრაფისტთა სააქტიურო

პოლიგრაფიული საწარმოებისათვის „პური არსობისა“ ქალაქია. ხოლო თუ რა მძიმე ვითარებაა რესპუბლიკაში უქალაქობის გამო—ყველას კარგად მოეხსენება. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ზუგდიდის პოლიგრაფიული საწარმოო გაერთიანების (გენერალური დირექტორი ლ. ბარქაია) კოლექტივმა წარმატებით გაართვა თავი 1990 წლის საგეგმო დავალებების შესრულებას, რაც აღსანიშნავი ფაქტია. პოლიგრაფისტებმა 26 დეკემბრისათვის შეასრულეს წლიური გეგმა, ანუ გამოუშვეს 690 ათასი მანეთის საერთო პროდუქტია. წლის ბოლომდე დარჩენილ დღეებში გაერთიანებას კოლექტივმა შეგეგმით აწარმოა ათი ათასზე მეტი მანეთის საერთო პროდუქტია.

პ. ჯაბაღარი.

ბრის თარიღები, რომელთა მიმართ ადამიანთა დამოკიდებულება საგანგებოდ გამორჩეულია. ასეთ თარიღთა ლეგიონს წინ მიუძღვის ახალი წელი. ეს ის ულამაზესი უამია, როცა ყოველი ჩვენთაგანის ფიქრის ძაფი ყველაზე მშვენიერ და ნათიფ ოცნებას ქსოვს. ეს ის მომენტია, როცა ყოფილი ტივილებიც დროებით უკან იხევენ და ადამიანებს კეთილი გრძნობები ეუფლება.

თავისი შინაგანი მუხტით და მღელვარების დიაპაზონით ყველა წინამორბედს სჯახნის. თავისუფლების კარიბჭესთან მდგარი საქართველო უამრავი პრობლემის, საწუხარის, საფიქრალ-საზრუნავის წინაშეა. ფართოა სპექტრი გადასაწყვეტი საკითხებისა, რომელთა თავმოყვობა ათეულ წლებით ზურგზე ლოდოიეთ გვაწევს. დღეს მათ ახალი საღიბა

რი და კალაპოტი უნდა მოეძებნოს. დიან, ახალი წლის კვირაძალი ახალი სურვილების უამია. რომელი ერთი უნდა მოვისურუოთ: ძვირფასო მკითხველებო? იწყინებს ალბათ ყველაზე უამაზი სახლის აწინება, ექიმს ყველაზე მძიმე ავადმყოფის განკურნება, პედაგოგს—ყველაზე საინტე-

რესო გაყვანილობის ჩატარება. ახალგაზრდებს კი აანტირესო სამუშაოს და მტკიცე ოჯახის შექმნას ვუსურვებთ. ეს ხომ ეს ორი მოთვარი ბოშია, რაზედაც დგას ოჯახური კეთილდღეობა. ძვირფასო მეგობრებო! ბედნიერებისა და თავისუფლების გეგმულ შემოსულობას ახალი წელი თქვენს ოჯახებში, ოწყინების, იმედის, სიყვარულის ხურჯ-

ინი უხვად დაებურტყოს ყოველი თქვენგანის კერძისათა. რატომ უნდა, შეუენასთან ერთად დანაკარგებიც ვეძინება ამ ახალ წელს. მაგამ მოვალენი ვართ ღვთის შეწყვენა და ლოცვა-კურთხევით არ დავკარგოთ შთავარი—მოწოდების სინდლღ და მამულიშვილური შეზარებება, რამეთუ ჩვენს შრავალქირნანას სამშობლოს იმედი აქვს თქვენი ერთგულების, თქვენი კირთათმენის, თქვენი სიმტკიცის.

### კეთილად მოხველ!



მოახლოვდა შობა—ახალ წლის დღესასწაული, ამათთან დაკავშირებით გვასაუბრებთ მაცნობრისპარის ეკლესიის წინამძღვარი მ ა მ ა ზ ა მ ბ რ ი ა.

—შარბან, შობის დღესასწაული ამოქმედდა დაღმთის ბიზანტიის სასახლის აარის ეკლესიაში. უფრო ადრე წინამძღვრისპარის ეკლესიაში. ხომ არ აღნიშნავდა, რა რომ იმ ახალმა ამ მოქმედებამ მრავალი?

—ყოველი ეკლესიის ამოქმედება დიდი სიხარულია მორწმუნე ქრისტიანისთვის. ამ ამბავს ისინიც სიხარულით ხვდებიან, ვინც, თუმცა არ ცხოვრობს ეკლესიურად. მაგრამ არ არის გემოვნადი ღვთისა და თავს ქრისტიანად თვლის. ეკლესია-მონასტრების ამოქმედებას, სასულიერო პირთა „ხალხში გამოჩენას“ თან მოჰყვება რწმენის გაღვივება, მაგრამ ჯერ კიდევ შორსა ვართ მართლმადიდებლური ცხოვრებისაგან. რწმენა კი ეკლესიურიობის გარეშე განაცდელი ხეს ჰგავს, რომელიც ნაყოფს ვერაძღვროს გამოიღებს. განუყოფელი უნდა იყოს „საქმისაგან სარწმუნოება და სარწმუნოებისაგან საქმე“. აუცილებელია დავუბრუნდეთ იმ „იწრო და საჭირველ გზას“, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს და „ერთი პირითა და ერთი გულითა“ აღვიაროთ და ვადიდოთ შემოქმედი.

—მკითხველთა შარბან მასნისთვის უინტერესო არ იქნება გრძობით ქრისტიანულ სარწმუნოებაში შობის დღესასწაულის მნიშვნელობაზე.

—სწორედ შობის დროს მოიხსება ზეციდან ანგელოზთა საგალობელი: „დიდება მადლთა

შინა ღმერთთა, ქუეყანასა ზედა მშველობა და კაცთა შორის სათნოება“.

განკაცნა „ხილულთა უოველთა და არა ხილულთა“ შემოქმედი, გაერთიანდა ზეცა და ქუეყანა. „მოვედით აწ სიხარულით, დღესასწაულსა ამას ვყოფდეთ“ ბრძანებს წმიდა ათანასი აღექსანდრიელი, „რამე თუ დღეს მრავალუამისა იგი

და ღვთის ქემარტი სიყვარული, რითაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობდნენ ჩვენი წინაარბი.

—ამჟამად წინასწარმეტყველების კვირდება. სიძინე მოდის ეს ბრძინა, რომელი უნდა დახმობდეს იგი და სავალდებულოა თუ არა მისი შენახვა მველამ მორწმუნისთვის?

—ყოველი მარხვა, რომელიც კლესიამ დაწესა და დაკანონა, სავალდებულოა ყოველი ქრისტიანისთვის. ჯერ კიდევ

შეუძლებელია. თავად განსაჩეთ მისი აუცილებლობა.

—ქრისტიანულ მართლმადიდებლურ ეკლესიას, რომელსაც ქართველებიც მიეკუთვნებიან, თავისი შეხედულება აქვს მორწმუნე მოსვლის მოვლენაზე. თქვენ რომ გორ ახსენით მას?

—უფალი იესო ქრისტე, რომელი ჩუენთვის, კაცთათვის და ჩუენისა ცხოვრებისათვის გარდამონდა ზეციით... კუალად მომავალ არს დიდებით განსჯად ცხოველთა და მკუდართა“.

სინამდვილეში მომავალსა და

ულ სხვადასხვა საქმისა მიმდინარეობას, რომელიც აბა იღმთველობა და სხვა?

—ეს რელიგიური და ეროვნული დაბნეულობაა. იგი ნაყოფია ჩვენი არასწორი ცხოვრებისა. ყოველი სექტა, უფლის ყანაში ეშმაკის მიერ ჩათესილი ღვარძლის მსგავსია, ეს ძალიან მტკივნეული საკითხია.

მასთან ბრძოლა სიყვარულით უნდა დავიწყოთ, ისინი შეცდენილი შვილები არიან ეკლესიისა. ნამდვილად არ ეკადრება დავითის, თამარის, ქეთევანის თუ ილიას შთამომავლობას სექტანტებად იწოდებოდნენ და დავიწყებული ჰყავდეთ „ღმერთი მამათა ჩუენთა“, მაგრამ იმის მაგვიერ, რომ მათ უკან მოიხედონ და მოგვისმინონ, თვითონ გამოდიან „მოძღვრებად“, და ავტორიტეტებად ჩვენი ერისთვის უცხო და მიუღებელი პიროვნებები მოჰყავთ. გვეკატება ვითომ სვეტიცხოვლის, მარტვილის, ჯვარის, ანჩისატის, გელათის... შეურაცხყოფა? მოგვეცემს რამე სიკეთეს შუშინის, დავით და კონსტანტინეს, ასი ათასი ქრთველი მოწამის დავლის უგულბებლყოფა და მათი მრწამსიდან გადახვევა?!

—ახლოვდება შობის დღესასწაული, რას უსურვებდით საღმრთადასწაულად თქვენს მრავალს, მთელ ქართველ ხალხს?

—მშვიდობას, ქრისტესმიერ სიყვარულს, შემწუნარებლობასა და გაერთიანებას. ღმერთმა დაგვლოცოს და შეგვეწიოს! ამინ! მამა ზაქარიას ესაუბრა ქეთევან ტაბაღუა.

## გისურვებთ მშვიდობას, ქრისტიანებო სიყვარულს!

საკრველით გახსნეს, შემასვენელსა მას პრცხუნა, ეშმაკი ილტვიან, სიკუდილი დაირღვა, სამოთხე განელო, წყევლი განქარდა, ცოდვით შორს განვიდა, საცთური განიღვინა, ქემარტიება კუალად მოგვო და სიტუაი ღმრთის მსახურებისა ყოველსა ადგილსა განეფინა და ზეცისა ცხოვრებაი ქუეყანასა დაენერგა, კაცი ანგელოზთა ეზიარნეს და ანგელოზთა თანა უშიშრად იტყვიან, რაისთვის —მე? —მისათვის, რამეთუ ღმერთი ქუეყანად გარდამონდა და კაცი ზეცად აღვიდა და ყოველი ერთბაშად იქმნა“.

ალბათ შეუძლებელია უფრო ღრმად და სრულყოფილად ამ დღესასწაულის მნიშვნელობის განმარტება, მასში წვდომისათვის საჭიროა ან ღვთის სწორ მმართველობაში განწმენდილი გონება, ან ის დიდი უბრალოება

სამოთხეში, ცოდვით დაცემად, ღვთის მორჩილებისა და მასში სიყვარულის განმტკიცებისათვის მიეცა ადამს მცნებად, არ ეტამა კეთილისა და ბოროტის შემცენების ხის ნაყოფი. სწორედ ამ მცენების დარღვევა გახდა მიზეზი ადამისა და ევას (და სერთოდ ადამიანთა მოღმის) ბუნების შერყენისა. ღვთისადმი ურჩობამ ცოდვა შუა, ცოდვამ სიკვდილი.

მარხვა ერთ-ერთი საშუალებაა განწმენდისა. მარხვა ლოცვასთან და სხვა ქრისტიანულ საიღუმლოებებთან და სათნოებებთან შერწყმული, გვახლოებს უფალთან, გვათავისუფლებს იმ ცოდვისა და ბიწიერებისაგან, რის გამოც ვერ ვხედავთ უფალს. „ნეტარ იყვენე წმიდანი გულითა, რამეთუ მათ ღმერთი იხილონ“. განწმენდა კი მარხვის გარეშე

ე. ი. მოვა თვისი სრული დიდებით და იქმნება საყოველთაო და საბოლოო განსჯა. ეს დღე მოვა „ვითარცა მარავი ღამისა“. დღეს ბევრს ღაპარაკობენ და წერენ აპოკალიფსური წინასწარმეტყველებების დასასრულის შესახებ, მაგრამ უფლისადმი შესახვედრად ცოტა თუ ეშვადება. ასე იყო ნოეს დროსაც...

„ხოლო რუამს მოვიდეს ძე კაცისა დიდებითა თვისითა... შეკრბენ წინაშე მისსა ყოველნი ნათესავნი და განარჩინეს იგინი ურთიერთას... და წარვიდნენ ბოროტნი და წყუელნი სატანგველსა საუკუნესა, ხოლო მართალნი ცხოვრებასა საუკუნესა“ (სრულიად მთ. 25, 31-34).

რაც შეეხება დროს, უფალი გვაფრთხილებს მარადიულად: „ჯამი ახლის არს“! —როგორ უსურვებთ ჩვენს

## სიყვარულის ვენახო!

ვისაც კარი გაუღეთ და ვისაც გული ვაჩვენეთ, აქეთ მოგვდგა, ერის ნებას მზაკვრულ ხერხით აჩერებს. კიდევ ახალ ხრიკებს, თუმცა, ვინ გვიშვადებს, ვინ იცის... ცხრა აპრილის ტრაგედია, ტრაგედია ივლისის, ვით წარსულის ტკივილები— ისტორიას ჩაბარდეს (ღმერთმა ნუ ქნას ვინმე კიდევ მონურ თასმით გვახამდეს)!. საქართველოს ცაზე მუდამ

მე ბარჩხალა მზეობდეს, ქალი კერას ანთებდეს და ვაჟი მუდამ ძეობდეს! ღმერთმა ნუღარ მოგვიშალოს დილით მამლის ყვილი, (ახალ წელიწადს ვილოცავთ სევდიანი ღიმილით); საქართველოს მიწა-წყალო, სიყვარულის ვენახო, ჩემო ერო, სიმშვიდე და სულ სიკეთე ვენახოს! ვახტანგ ბულუა.

## მ რ ა ვ ე ლ ე შ ა მ ი ე რ!

ცაიშის ტერასებზე განლაგებულ ნარინჯის ბაღებში ეს ფოტოსურათი მაშინ გადავიღეთ,

დამ, რომელსაც გივი კუკავა ხელმძღვანელობს, სეზონში 40 ტონა მანდარინი დაამზადა.

მრავალუამიერ, დამაშვრალი აღამიანებო!



როდესაც „ქიროს რთველი“ იღვა სოფელში.

4,5 ჰექტარზე გაშენებულ ციტრუსს გულმოდგინედ უვლიან გივი ჯღარკავა, გუგუშა ოუყავა, არონ ბასილაია. ბრიგა-

სახალწლო სუფრას დაამშვენებს მათ მიერ მოწეული მანდარინი და ფორთოხალი.

ეზაროს ნარინჯოვანთა მხარეში მსხმოიარე ხეებს, იყოს მისი ნაყოფი ტკბილი და საამო.

სურბაშვი: მთავარი აგრონომი —ტ. გეთია (ცენტრში), მკრეფავებთან, იზოლდა დოღბაიასთან, დოდო სიქინავასთან, კლარა კაკულიასთან, გული სხულუხასთან, მიმოლა სიქინავასთან, აქ. ყუფუნაის ფოტო.

## მოსახლეობის სამსახურში

განსაკუთრებულად ნაყოფიერი იყო 1990 წელი ინგირელი მშრომელებისათვის. სოფლის კეთილმოწყობის მხრივ აქ ბევრი რამ გაკეთდა. ამოქმედდა და მწუბორში ჩაღვა 700 ნომრისანი სატელეფონო სადგური, რომლის მეშვეობით ნებისმიერ დროს შეუძლია აბონენტს კავშირი დაამყაროს რაიონის ცენტრთან.

ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყო ელექტროგაყვანილობა. ნახევრად ძირმოშალი და წაქცევის კარამდე მისული ელექტროგაყვანილობის ბოძები ხანძრის საშიშროებასაც ქნიდა. ეს უკანასკნელი კი შეიცვალა რკინა-ბეტონის ბოძებით.

ყველგან მოიხრევა შიდასასოფლო გზა. 8 კილომეტრზე დაიგო ასფალტი. მთლიანად შეიცვალა შიდა სასოფლო გზების იერსახე. დღეს სოფლის თითქმის ყველა უბანზე შეუძლია იმომაროს ნებისმიერმა ტრანსპორტმა. ეს ყველაფერი ინგირის კოლმეურნეობის სახსრებით გაკეთდა. 1991 წელს დაიწება სოფლის გაზიფიკაციის სამუშაოები, რისთვისაც კოლმეურნეობაში გვიღია პირობებია შექმნილი.

ჯ. ფილსანი.



სურათზე: სახალწლო მიჯლისში. აკ. ყუფუნიას ფოტო.

ბიოლოგია იტაცებდა განსაკუთრებით მკაცრად კარტოზიას, სწორედ ამიტომ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებელი ამ განხრით. ჩამოვიდა ზუგდიდში და ახალსოფლის საშუალო სკოლის მასწავლებლად დირექტორმა, შემდგომში ურნალისტმა კუკური გელანტიამ მოსწავლეებს წარუდგინა მომხიბლავი ბიოლოგიის მასწავლებელი. ამ დღიდან 30 წელი იმ-

ოდგანა ახალსოფლის სკოლასა და ამავე სოფლის სკოლა-ინტერნატში ბიოლოგიის მასწავლებლად და უფროს აღმზრდელად მკაცრად მასწავლებელმა, ოცდაათჯერ დააფრთხინა მოსწავლეები, რომელთაგან ბევრი გაჰყვა მის კვალს. 1980 წლიდან მკაცრად დაიწყო მასწავლებლად დახელოვნების ზონალური ინსტიტუტის ბიოლოგიის სასწავლო-მეთო-

დური კაბინეტის გაშენება ინტენსივად, რომლის დასრულებასა და ხარისხობრივ დახელოვნებას, კვალიფიკაციის ამაღლებას, ძირ-ძველი ზუგდიდელი, შესანიშნავი პიროვნება ყოველ დღით მიუყვება ნაცნობ სტივენს, მიეჩქარება სამსახურისკენ... მკაცრად და ზუგდიდელ პედაგოგებს ვულოცავთ ახალ წელს, ფეხბედნიერი ყოფილიყოს იგი ყველა მათგანისთვის!

### ინტერვიუ ყურადღებო! მეტოქის კარში ბურთი გაიტანა...

დამთავრდა პირველი ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში. უკან დარჩა ვნებათაღელვის უკან, დრომ გააქარწყლა სკეპტიკოსთა მრავალი ცრუ მოსაზრებანი, მტრული ხმები—აქაოდა დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთი ვერ იარსებებსო... ქვეშაირიტებამ ამჯერადაც გაიმარჯვა!

პირველი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის საზეიმოდ გახსნის დღეს გაზეთ „ოდიშის“ რედაქციამ დააწესა პრიზი 500 მანეთის ოდენობით. ამ თანხას მიიღებდა ზუგდიდის „ოდიშის“ ფეხბურთელი, რომელიც სეზონის განმავლობაში ყველაზე მეტ ბურთს გაიტანდა მწინააღმდეგის კარში.

... და აი, დღეს ჩვენი გაზეთის სტუმარია რედაქციის მიერ დაწესებული პრიზის მფლობელი, ზუგდიდის „ოდიშის“ ფეხბურთელი მერაბ შარვაშია, რომელსაც რამდენიმე კითხვით მივმართეთ:

მერაბ, ვილოცავთ პრიზის მიღებას. როგორც იტყვიან, ეს ერთი და სხვა მრავალი. სასურველია მკითხველმაც იცოდეს, რამდენი ბურთი გაიტანეთ სულ?

—მადლობა მოლოცვისათვის. სულ 3 ბურთი გაიტანე თქვენს კარში.

—ამათგან რომელი დამამაჰყვრდათ ყველაზე მეტად და რატომ?

—გასვლითი თამაში გვეტონდა ორამხრის „ამირა-



ნთაში“. დაიხიშნა საჯარიმო, ბურთი საკმაოდ ეფექტურად დავარტყი და გავიტანე. მატჩი 1:0 მოვიგეთ. ეს იყო პირველი საშუალო სკოლის სტუმრის აბლუაში.

—გაცანით თქვენს თავი ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რომლებიც, ამასთანავე, ზუგდიდის „ოდიშის“ ქვეშაირიტი ქომაგები არიან.

როგორც ყველა ბიჭუნა, მეც ფეხბურთით ვიყავი ატაცებული.

ლი. №12 საშუალო სკოლა დავამთავრე 1979 წელს. 1981-84 წლებში ვთამაშობდი წალენჯიხის „სქურის“ შემადგენლობაში. მერე ჯარში ვამიწვიეს, და ებრუნდი და 1988 წლის ჩათვლით ზუგდიდის „დინამოს“ დირსებას ვიცავდი. 1989 წლის სეზონი გორის „დილაში“ ვითამაშე. გახსოვთ ალბათ, ეს გუნდი საბჭოთა კავშირის პირველობაზე მეორე ლიგაში ასპარეზობდა. 1990 წლიდან

„ოდიშში“ ვარ. 28 წლისა ვახალვართ, უცოლშვილო... ესაა და ეს.

—დასახელებთ თანაგუნდელი, რომელთანაც უფრო ხართ შეთამაშებული და უსიტყვოდ გესმით მისი.

—მელორ ბიგვა. მელორის შემად ერთ-ერთი საუკეთესო თანატოლია ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელთა შორის.

—ზუგდიდის „ოდიშში“ პირველ ეროვნულ ჩემპიონატში მერვე ადგილი დაიკავა. წარმატებაა ეს თუ წარუმატებლობა?

—დიდი წარმატებაა. გაიხსენეთ, ეროვნული ჩემპიონატის წინ ჩვენი გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, ბატონმა ოთარ გაბელიამ პრესისათვის მიცემულ ინტერვიუში გააცხადა, რომ „ოდიში“ ათეულში სრულდეს ვარაუდობსო. ასე რომ, სკეპტიკოსთა კოლექტივმა, შეიძლება ითქვას, გეგმა გადაიხრებოდა სეზონულად. ვისაც ეს სიტყვები დაეკვირვებ, ვერხვოდა და ვთხოვთ, ერთხელ კიდევ დაკვირვებით გადაავლოს თვალი ჩემპიონატის საბოლოო ცხრილს, გაითვალისწინოს ვისთან გვიხდებოდა შეტოქება...

—ზუგდიდელ ძაყურებლებზე რას იტყვიან?

—ობიექტური, სამართლიანი მკითხველია. მთხარული ვართ, რომ გვრისობთ მათ მხარდაჭერასა და თანადგომას.

—რას მოელოთ ახალი წლისაგან?

—საქართველოს თავისუფლებას, ქართული ფეხბურთის საერთაშორისო აღიარებას. უზუგოლიან სეზონს.

ესაუბრა ჯამბუშლ არაბანი.

აკ. ყუფუნიას ფოტო.

### მილოცვები, სურვილები...

ახალ წელს ვულოცავთ რესპუბლიკური საავადმყოფოს კარდიოლოგიური განყოფილების გამგეს ბურბაძე კვიციანიას, ექიმებს ლია საპვარალიძეს, ლუიზა ქორთუას, ექიმებს ლუიზა ჯაფარიას, აიდა ფიფიას, ნელი წურჭუაძეს. მადლობას ვუხდით მათ გამოჩენილი გულისმწიფრებისათვის და ვუსურვებთ ერთგულად ეწიოთ ჯანმრთელობის დაცვის მუშაის საპატიო ტვირთს.

ყოფილი პაციენტები: ავრორა ჯანაშია, ფანია ფიფია, მანუშა გულუა, ვინერა შენგელაია, ლუსია გიგავა.

ყოფილი პაციენტი, პენსიონერი მარია კილაძე ახალ 1991 წელს ულოცავს ზუგდიდის რესპუბლიკური საავადმყოფოს ვნლოკრიოლოგიური განყოფილების გამგეს დალი შენგელიას, ექიმებს მარინა მანთარიას, მარია კაპულიას, ცილა თუთბარიძეს და მთავარ ექიანს მანანა შენგელიას. მადლობას უხდის მათ გაწეული მკურნალობისა და გულისმწიფრებისათვის.

ჩემს მკურნალ ექიმს ბებრი შონიას და ტრავმატოლოგიური განყოფილების ექიმებს, მადურსონალს ვულოცავ ახალ წელს. წარმატებები დაგებდეთ ჩვენი სიცოცხლის ქომაგებს.

მრავალ ახალ წელს!

ლეილა ლურჯაძე.

30 წელზე მეტ ხანს ვმსახურენ ფარმაციის დარგს დავწლმოდელი პროვიზორები ნათელა ხიციანიას ასული მარია და ანა პრემიან ასული კაპულია. ნაადრევი იყო მათი გადასვებილება პენსიაზე გასვლისა, მაგრამ სურვილი ერთი იყო: ახალგაზრდობისათვის დაფიქროთ ეს რთული, მაგრამ კეთილშობილური საქმე.

ზუგდიდის საფთაქო კანტორის კოლექტივი სულითა და გულით ულოცავს მათ ახალ წელს, უსურვებს ჯანმრთელობას და ბედნიერ ცხოვრებას.

### კომიტიკური ანეკდოტები

ნიკიტა სრუშოვს ცოლი შეუჩნდა: წავიდეთ ბაზარში და საშობაოდ ბურჯაკი ვიყიდოთო. სირცხვილია, რას იტყვის ხალხიო,—იურა ნიკიტამ.

ბოლოსდაბოლოს ქალმა თავისი გაიტანა, წავიდნენ ბაზარში, თან საბავშვო ეტლი წაიყვანეს; იყიდეს ბურჯაკი და ეტლში თბილად ჩაფუთნეს.

გზაზე ბრენენების მუდღე შემოხვდათ. —ა, შევიღვიღლს ასეირნებთ სუფთა ბურჯაკი, არა? აბა ერთი ცნახოთ!, —ღმერთო კეთილო, შედგამოკრილი ბაბუაა, —შენიშნა ბრენენების მუდღე.

პარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანს აკაკი მგელაძეს აწიოკებული მკაცრად ქართველი ვირაელობა. თუმცა, საკითხავია, ინდობდა კი საფრთხედ ვინმეს? მერე ის იყო, ეს პირზევი ფუნქციონერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად დააწინაურეს.

ამ ამბიდან მეორე დღეა. ქუჩაში ერთმანეთს ხვდებიან შალიკია და იცხაკი.

—ბიჭო, იცხაკ, რაა ეს, პირი მაწუთით რომ გაქვს მოთხვრილი? — ეკითხება შალიკია.

—რაა და, დაჯანაჯვლეს, მგელაძე თბილისში რომ წაამსევრა იმ „პარავოზს“ ვაკოცე ამ დღით.

### რედაქტორი

მატყუარა საათები

ამის თაობაზე, რომ ჩვენი ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში (კავშირგაბმულობის შენობის წინ, ბაზართან და სხვაგან) დამონტაჟებული ელექტროსაათები გაუმართაობის გამო არასწორ დროს უჩვენებენ, ადრეც ბევრჯერ თქმულა და დაწერილა. ამ შენიშვნას, სამწუხაროდ, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია იმათი მხრიდან, თუმცა, რომ არ ვიცით ვისი მხრიდან უნდა მოჰყოლოდა კონკრეტული საქმე? გამოგითქვით, ძალზე გვიანტირებს და საჭიროცაა ვიცოდეთ კონკრეტულად ვის ევალება ქუჩის ელექტროსაათების მეთვალყურეობა, მათი გასწორება-შეკეთება, ვიმედოვნებთ, რომ ის ორგანიზაცია თუ სამსახური, ვისაც აღნიშნული საკითხი უშუალოდ ეხება, ამჯერად მაინც ინებებს ამ მცირე შენიშვნას პასუხი გასცეს. თუმცა, საქმისთვის აჯობებს, პასუხის გაცემამდე მატყუარა საათები ამუშავდეს.

ჯ. ჯაბაბერი.

რედაქტორი  
აკ. ზანტური.

ინფორმაცია 66507 რედაქციის მისამართი: ქ. ზუგდიდი მერაბ კოსტავას ქ. № 52. ტელეფონები: რედაქტორის 2-24-80, რედაქტორის მოადგილის 2-23-69 პასუხისმგებელი მდივნის 2-21-96, სოფლის მეურნეობის განყოფილების 2-21-78 მწრომელთა წერილების 2-25-12, რადიორედაქციის 2-47-00